ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №18

ქ. თბილისი **04.10.2016**

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
ირინა ხანთაძე - ტრენინგისა და კონსულტაციის ცენტრის (CTC) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ფხალაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;
ნინო კოდუა - სსიპ - ქალაქ თბილისის #55 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი;
ქეთევან ჭკუასელი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
ხათუნა ბარაბაძე - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი;
რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მელიქაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის ბიზნესის სკოლის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
რუსუდან გოგიბერიძე - დირექტორი;
მელორ მშვიდობაძე - მონიტორინგის სამსახურის უფროსი;
ნელი დევაძე - სასწავლო პროცესის მენეჯერი;
ნუგზარ შენგელია - მატერიალური სამსახურის უფროსი.

ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
თამთა თათულაშვილი - სასწავლო ნაწილის გამგე;
ლილი ადამაშვილი - თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის გამგეობის წევრი;
ლალი აბიათარი - ინტერ. კოლეგიის წევრი.

ა(ა)იპ საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი) წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ია ბაგრატიონ-მუხრანელი - დირექტორი;
გია ჩხიკვიშვილი - სასწავლო ნაწილის გამგე;
ზაზა ჩიქოვანი - დირექტორის მოადგილე;
ტარიელ გრიგოლია - ბუღალტერი.

შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
მერი ქვრივიშვილი - დირექტორი;
მარინა ქვრივიშვილი - დირექტორი;
თათია ზარქუა - იურისტი;
მარიამ ხუციშვილი - კონსულტანტი.

შპს სკოლა ევრო-2000-ის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
მარინა ცივაძე - დირექტორი;
ანზორ აბუსერიძე - დირექტორი.

შპს სხივის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
დავით ჯიქია - დირექტორი;

შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის წარმომადგნელი/წარმომადგენლები:
ანზორ შაფათავა - სკოლის დირექტორი;
ინეზა იამანიძე - სკოლის დამფუძნებელი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):
ნინო ბალანჩივაძე;
იანინა გიგიბერია;
ლიანა კობესაშვილი;
დავით ლიპარტელიანი;
ნოდარ ანგურიძე;
სერგო დურგლიშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი;
ნინო გვარამაძე;
ქეთევან ბოტკოველი;
ია გიგიბერია-ფირანიშვილი;
ლენა გომართელი;
თეა სალუქვაძე;
მაკა ტუკვაძე;
ნინო ვარდოსანიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:50 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე მიუთითა, რომლის მიხედვითაც საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს "კანდიდი" საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სკოლა ევრო-2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ ყოფილა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს კავკასიის ბიზნესის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნინო ბალანჩივაძემ წარადგინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ ავტორიზაციის გავლის შემდეგ, დაწესებულებამ გააუქმა სკოლაში მოქმედი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და მოაწესრიგა ტენიკურ-მატერიალური ბაზა. სკოლას მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობა 270 ერთეულით ჰქონდა განსაზღვრული და 400-მდე გაზრდა სურდა.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ძირითადად სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსი გადაამოწმა. ექსპერტები სკოლის პოლიტიკითა და რეჟიმითაც დაინტერესდნენ, როგორ უზრუნველყოფდა სკოლა 400 მოსწავლის მომსახურებას. ექსპერტის თქმით, სკოლა მოსწავლეთა განათლებასთან ერთად დასვენებასა და კვებაზეც ზრუნავდა. სკოლა 5 შენობას ფლობდა, ცალკე საქვაბით, კვების ბლოკით, დირექციის კორპუსით, ა.შ. 320 კვ.მ. ფართი, რომლითაც ადრე საბავშვო ბაღი სარგებლობდა და რომელიც ავტორიზაციის მინიჭებისას საბჭომ სკოლას სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ ფართში არ ჩაუთვალა, ამჯერად სკოლისთვის განისაზღვრა, საბავშვო ბაღი კი გაუქმდა. სკოლაში ოთახები აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით, თუმცა გარკვეულ ინვენტარზე, რომელიც კავკასიის უნივერსიტეტის მიერ იყო ნაჩუქარი, სკოლას ფლობა ვერ დაუდასტურდა, რადგან აღნიშნული რესურსი ისევ კავკასიის უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ხსენებული ინვენტარი სკოლაში იყო განთავსებული. აღნიშნულის საპასუხოდ დაწესებულების დირექტორმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს ნაჩუქრობის ხელშეკრულებები გადასცა, რომლებიც ხსენებული რესურსის ფლობას ადასტურებდა.

საბჭოს წევრი, ხათუნა ბარაბაძე სკოლის მფლობელობაში არსებული ფართის სკოლის მოთხოვნასთან შესაბამისობით დაინტერესდა. ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლაში 24 საკლასო ოთახი იყო, თითოეულის არაუმეტეს 20 მოსწავლეზე გათვლით (რაც სკოლას წესდებით ჰქონდა განსაზღვრული), შესაბამისად, სკოლას არაუმეტეს 440 მოსწავლის მიღება შეეძლო.

ექსპერტის თქმით, სკოლის მფლობელობაში არსებული და საკლასო ოთახებში განთავსებული მერხები არ იყო შესაფერისი საგაკვეთილო პროცესისთვის. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ მერხები ყველა პატამეტრის გათვალისწინებით დაამზადებინეს შესაბამის საწარმოს. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია, მიემართათ საწარმოსთვის თბილისში, რომელიც სასკოლო ინვენტარზე სპეციალიზირდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს წარმოუდგინა ფოტომასალა, რომელზედაც საკლასო ოთახებში მერხებთან მსხდომი მოსწავლეები იყვნენ ასახული და აღნიშნა, რომ მერხების განსხვავებული ფორმა სასწავლო პროცესში დისკომფორტს არ ქმნიდა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლის მფლობელობაში 17 კომპიუტერი იყო, საიდანაც 12 სასწავლო მიზნებისთვის იყო განკუთვნილი. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს განუცხადა, რომ სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილი კომპიუტერების რაოდენობა ამჯერად უკვე 20 ერთეულს შეადგენდა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც საბჭოზევე იქნა წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოზე წარმოადგინეს ვიდეოსამეთვალყურეო კამერების განლაგებისა და მონაცემების, ასევე პანდუსებისა და სველი წერტილების ამსახველი ფოტომასალა. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ კონტინგენტის ზრდასთან ერთად დაწესებულების პერსონალი 8 ერთეული კადრით გაიზარდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის ბიზნესის სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის ბიზნესის სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 445386546) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

2. ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა წარადგინა. ექსპერტის თქმით, სკოლა სსსმ მოსწავლეებზე სპეციალიზირდებოდა და თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და შეფასების სისტემა ჰქონდა წარმოდგენილი. შესაბამისად, არც საათობრივი ბადე ყოფილა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი, თუმცა დაწესებულებამ აწარმოა მოლაპარაკება შესაბამის დეპარტამენტთან და თანხმობა აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული ჰქონდა. სკოლას თანხმობა განეცხადა ფაკულტატურის სახით უცხო ენის სწავლებასთან დაკავშირებითაც, იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც მეტყველებასთან დაკავშირებული დარღვევები არ ახასიათებდათ.

ექსპერტის თქმით, სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. ერთადერთი აღსანიშნავი ფაქტი იყო ის, რომ სკოლას მოსწავლეებისთვის ძირითადად ორადგილიანი მერხები ჰქონდა განთავსებული საკლასო ოთახებში, თუმცა აღნიშნულის გამართლებად სკოლას სსსმ მოსწავლეებისთვის სოციალიზაციის საჭიროების არგუმენტი მოჰქონდათ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ზოგჯერ პედაგოგებსაც უხდებოდათ მოსწავლეების გვერდით სხდომა.

ადამიანურ რესურსს რაც შეეხება, სკოლის არცერთი პედაგოგი სქემაში ჩართული არ ყოფილა, თუმცა ვინაიდან სპეცმასწავლებლებისთვის სტანდარტი არ არსებობდა, არც აღნიშნული წარმოადგენდა ხარვეზს. ყველა პედაგოგს ჰქონდა უმაღლესი განათლება და გავლილი შესაბამისი სპეცკურსები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204892704) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი და საბაზო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

3. ა(ა)იპ საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ წარადგინა.

სხდომის თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად, სკოლის დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ სკოლის მისია ღრმა განათლების მქონე მამულიშვილების და ჭეშმარიტი ქართველების, მებრძოლების გაზრდა იყო, ვინაიდან ქვეყანას დაცვა სჭირდებოდა. მისივე თქმით, თავადაზნაურობის ნიშნით, ის თვლიდა, რომ მაღალი სულისკვეთებით ქვეყნის დაცვა მათი მისია იყო. დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ გარდა პრინციპებისა, სკოლა ყურადღებას იმ ტრადიციულ ფასეულობათა რკალზე ამახვილებდა, რომელიც ქართველ მოსწავლეს სხვა ქვეყნის მოსწავლისგან განასხვავებდა. მისივე თქმით, სკოლაში საქართველოს ისტორია უფრო ღრმად შეისწავლებოდა ვიდრე მოსწავლეებს ამას სასკოლო სახელმძღვანელოები სთავაზობდნენ. დირექტორის თქმით, სკოლას არ მოსწონდა არსებული სახელმძღვანელოები და მისი სურვილი და საზრუნავი იყო ისტორიის შესწავლა უფრო სრულყოფილი ყოფილიყო. სკოლის დირექტორმა საბჭოს განუცხადა, რომ მან შეისწავლა ძველი, რუსეთის იმპერიის ლიცეუმების პროგრამები და გარკვეული ნიუანსები თავის სკოლაშიც გაითვალისწინა. პასუხად, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირი რამდენად შეესაბამებოდა რუსეთის იმპერიის ლიცეუმთა სასწავლო პროგრამების აღდგენის სურვილს, საეჭვო იყო. სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ მას იმ დისციპლინების აღდგენაც სურდა, რაც გელათის აკადემიაში შეისწავლებოდა.

ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ საბჭოს განუცხადა, რომ სკოლაში მხოლოდ სპორტის ორი სახეობა ისწავლებოდა: ხრიდოლი და ჭადრაკი. აქედან, ხრიდოლი არ იყო ასარჩევ სპორტის სახეობათა სიაში. სკოლას მიეცა მითითება, ჩამონათვალიდან სამი სპორტული სახეობა აერჩიათ.

ექსპერტის თქმით, სკოლაში, დაწყებით კლასებში მოსწავლეები ე.წ. „სმაილიკებით" ფასდებოდნენ. ექსპერტთა მითითებისამებრ, საკითხი განხილულ იქნა პედსაბჭოზე, რის შედეგადაც დაწყებით კლასებში შეფასების აღნიშნული ელემენტი ამოიღეს.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა წლიური გამოცდების დებულება, სადაც აღნიშნული იყო, რომ თუკი წლიურ გამოცდაზე მოსწავლე ვერ მიიღებდა დადებით შეფასებას, მას საშემოდგომო გამოცდა ენიშნებოდა, სემესტრული შეფასების მიუხედავად. აღნიშნული საკითხიც ასევე განხილულ იქნა სკოლის პედსაბჭოზე და ჩანაწერი ამოიღეს.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ხრიდოლი ქართული ჭიდაობით შეიცვალა და მესამე სპორტის სახეობად ძიუდო დაემატა. წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა წლიური გამოცდის და დაწყებით კლასებში სიმბოლოებით შეფასების გაუქმების ფაქტებიც.

ექსპერტის თქმით, სკოლაში სპორტის გაკვეთილები გარკვეულ კლასებში გაერთიანებული სახით ტარდებოდა, რაც ექსპერტის აზრით ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც მხოლოდ კლას-კომპლექტებში და არაუმეტეს 3 კლასში უშვებდა სპორტის გაკვეთილების ერთობლივად ჩატარებას. მისივე თქმით, ესგ აკრძალვას არ აწესებდა,

თუმცა დაშვების მაგალითად კონკრეტული შემთხვევა მოჰყავდა, რომელიც ზემოაღნიშნულს შეესაბამებოდა. სკოლის წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ გაერთიანებულ კლასებს იდენტური შედეგები ჰქონდათ განსაზღვრული, შესაბამისად, სპორტის გაკვეთილების გაერთიანებას უარყოფითი შედეგი არ უნდა მოეტანა. საბჭოს წევრებმა არგუმენტი გონივრულად ჩათვალეს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ ფართის ბოლო ცვლილება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას აცნობა, ცენტრისთვის კი პირდაპირ არ მოუმართავს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ სკოლის წლიური თვითშეფასების ანგარიშში ასახული იყო ფართის ცვლილება, რაც დასმულ საკითხს პრობლემურად აღარ წარმოაჩენდა.

ექსპერტმა სკოლის ექიმთან დადებულ ხელშეკრულებაში არსებულ შეუსაბამობებზე ისაუბრა. შეუსაბამობები ძირითადად დასაქმებულის შვებულებას და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას ეხებოდა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სკოლას არ სურდა ხელშეკრულების მეტად დატვირთვა, რის გამოც ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების პუნქტი არ შეუტანია ექიმის ხელშეკრულებაში, ამასთან, დასაქმებულს არც უწევდა ზეგანაკვეტური სამუშაოს შესრულება. შვებულებას რაც შეეხება, ხელშეკრულება ერთ სასწავლო წელზე ფორმდებოდა, შესაბამისად, ხელშეკრულებაში შვებულების საკითხის გაუთვალისწინებლობის პრობლემაც იხსნებოდა. წარმომადგენლის თქმით, სკოლაში სწავლა ივლისამდე გრძელდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებულს ორთვიანი წყვეტა გამოსდიოდა, რის გამოც ხელშეკრულებას მუდმივი სახე უნდა მისცემოდა, სკოლის მიერ გაკეთებული ჩანაწერი 60 დღეს ითვალისწინებდა და არა ორ თვეს, რაც უკვე 61 დღე გამოვიდოდა, შესაბამისად, სკოლა არ არღვევდა შრომის კანონმდებლობას.

ექსპერტის თქმით, სკოლის ერთერთი პედაგოგი არ იყო ჩარტული სქემაში, ფლობდა დოქტორის ხარისხს და გადიოდა შესაბამის კურსებს, რის შემდეგაც სქემაში ჩართვას შეძლებდა. ექსპერტის განმარტებით, 2011 წლიდან იმ პედაგოგებს, რომლებსაც ჰქონდათ დოქტორის ხარისხი და არ გააჩნდათ მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, კურსების გავლის შემდეგ შეეძლებოდათ სქემაში ჩართვა და პედაგოგად მუშაობა. აღნიშნულს არ დაეთანხმა საბჭოს წევრი ხათუნა ბარაბაძე. კანონმდებლობის საკითხების განხილვის შემდეგ, საბჭო შეთანხმდა, რომ სქემაში მიმდინარე და დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, საბჭო სკოლისადმი მიცემული რეკომენდაციით შემოფარგლულიყო და ფაქტობრივი გარემოება ხარვეზად არ მიეჩნია. ექსპერტი დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარეს, რომ სქემა დახვეწას საჭიროებდა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სკოლის პრაქტიკები მოქმედ კანონმდებლობასთან მოსულიყო შესაბამისობაში და სკოლას თვალყური ედევნებინა სქემის შემდგომი ცვლილებებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი)-სთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს ნიკო ბაგრატიონის (ნიკო ბურის) კავშირი. (ნიკო ბაგრატიონის სახ. თავად-აზნაურთა სკოლა-ლიცეუმი) (საიდენტიფიკაციო კოდი: 204902203) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

4. შპს კანდიდი საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა წარადგინა. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. სკოლას მოწესრუგებული ჰქონდა საქმისწარმოება, პროგრამები შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მატერიალური და ადამიანური რესურსები შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. სკოლა დასაქმებულებზე გასცემდა წამახალისებელ ფულად პრემიებსაც და პერსონალს საშუალება ჰქონდა ესარგებლა შვებულებითაც. სკოლას უდასტურდებოდა 600 მოსწავლის განთავსებისთვის აუცილებელი სასწავლო ინვენტარი. სკოლას სულ 75 თანამშრომელი ჰყავდა. დაწესებულებაში დადგენილი წესისამებრ განთავსებული იყო შესაბამისი პარამეტრების მქონე ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, გააჩნდა 32 პერსონალური კომპიუტერი და 5 ლეპტოპი. სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფდა კვებით, ასევე ჰქონდა ჯგუფები გახანგრძლივებული სწავლებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "კანდიდი" საშუალო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს კანდიდ საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 209476173) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

5. შპს სკოლა ევრო-2000-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა წარადგინა. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით ხარვეზები არ დაფიქსირებულა. სკოლას მოწესრუგებული ჰქონდა საქმისწარმოება, პროგრამები შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მატერიალური და ადამიანური რესურსები შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს. სკოლაში მოსწავლეები ინგლისურ, ფრანგულ, ფერმანულ და რუსულ ენებს შეისწავლიდნენ. სკოლაში ფუნქციონირებდა ორი რუსული სექტორიც. სკოლის ფართი 3937 კვ.მ.-ს შეადგენდა, ასევე შენდებოდა ახალი კორპუსიც. სკოლაში სულ 45 საკლასო ოთახი იყო, 960 სასწავლო მერხი და სკამი და 45 კომპიუტერი. სკოლას გააჩნდა ორი სპორტული დარბაზი. სკოლას, გარდა დოკუმენტურად დადასტურებული 960 მერხისა, ასევე გააჩნდა დამატებით 60 ინდივიდუალური მერხი და სკამი, ასევე, ექსპერტის თქმით, აღნიშნულში არ იყო გათვალისწინებული ლაბორატორიაში განთავსებული მერხები და სკამები.

სკოლას, ავტორიზაციის ახალი ვადით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1050-ით განსაზღვრა სურდა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ახალი შენობის აშენების შემდეგ, სკოლას 40 საკლასო ოთახი მოემატებოდა და ყოველ სართულზე თითო საკონფერენციო ოთახი მოეწყობოდა. სკოლას სულ 100 თანამშრომელი, აქედან - 75 პედაგოგი ჰყავდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ევრო-2000-ისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1050-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ევრო-2000-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245437843) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1050-ით.

6. შპს სხივის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ წარადგინა. ექსპერტის თქმით, სკოლის მიერ წარმოდგენილი ახალი სასწავლო გეგმა დამტკიცებული იყო დირექტორის მიერ, დებულებით გათვალისწინებული პედაგოგიური საბჭოს ნაცვლად. სკოლას გაეწია რეკომენდაცია, სასწავლო გეგმა წესისამებრ დამტკიცებულიყო ან დებულებაში შესულიყო ცვლილება.

ექსპერტის თქმით, სკოლას მაღალი სტანდარტების სპორტული დარბაზი ჰქონდა, თუმცა სასწავლო გეგმით არ ჰქონდათ განსაზღვრული სპორტის სახეობები.

ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ დაწყებით კლასებში ხდებოდა მოსწავლეების შეფასება სიმბოლური აღმნიშვნელებით.

სკოლის შენობის პირველ სათულზე ორი ოთახი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას ეთმობოდა. სკოლაში სულ 119 მოსწავლე ირიცხებოდა. დაწესებულებას ახალი ავტორიზაციის ვადით მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრა სურდა. ექსპერტის თქმით, მატერიალურად სკოლაში განთავსებული იყო 260 ინდივიდუალური სასწავლო მერხი და სკამი, რომელთაგან მხოლოდ 204-ის ფლობა დასტურდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სხივისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრა:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს სხივს (საიდენტიფიკაციო კოდი: 235445693) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 260-ით.

7. შპს თბილისის გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ვერის უბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარსა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ წარადგინა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წინაშე განაცხადა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა 2016 წლის 7 სექტემბერს ამოეწურა.

ექსპერტის თქმით, სკოლა 150.60 კვ.მ. ფართის კერძო სახლის ტიპის შენობაში იყო განთავსებული. შენობის მესამე და მეოთხე სართული საცხოვრებელ ფართად იყო გაქირავებული. სკოლის პირველ სართულზე მდებარე სკოლის ბუფეტს ერთ-ერთ საკლასო ოთახთან საერთო შესასვლელი ჰქონდა. შენობის პირველ სართულზე სულ ორი საკლასო ოთახი იყო, მეორეზე - 3. კომპიუტერული კლასსა და ბიბლიოთეკას ერთი საერთო ოთახი ეთმობოდა. გასაუბრების შედეგად ირკვეოდა, რომ მასწავლებლები და დირექცია ასევე სარგებლობდა აღნიშნული ოთახით საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად.

შენობაში სულ 5 საკლასო ოთახი იყო, სადაც განთავსებული იყო 32 ადგილიანი მერხი. კომპიუტერულ ოთახში განთავსებული იყო 4 პერსონალური კომპიუტერი. დაწესებულებას არ გააჩნდა სპორტული მოედანი ან დარბაზი. სკოლას სპორტის სახეობებად არჩეული ჰქონდა მხოლოდ 2 - ცურვა და ჭადრაკი. სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შპს „ოაზისთან" საცურაო აუზით სარგებლობის შესახებ. სკოლის ლაბორატორიაში არ იყო განთავსებული სველი წერტილი და გამწოვი.

დაწესებულებას საკლასო ოთახებში განთავსებული ჰქონდა 8 ელექტრო გამათბობელი, რომელთა ფლობა ვერ დასტურდებოდა შესყიდვის დოკუმენტაციით. დაწესებულებაში ორი სველი წერტილი იყო, რომელთაგან მეორე სართულზე მდებარე განკუთვნილი იყო სსსმ მოსწავლეთათვის და წარმოადგენდა უნიტაზზე დადებულ სავარძლის კარკასს. ექსპერტებმა საბჭოს წარუდგინეს აღნიშნული სველი წერტილის ამსახველი ფოტომასალაც.

ექსპერტის თქმით, სკოლის ბიბლიოთეკარის უფლებამოსილებები შეთავსებული ჰქონდა სკოლის დირექტორს. ბიბლიოთეკაში არ იყო გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო განრიგი, არ იყო მკითხველის ბარათები და რეგისტრაციის ჟურნალი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები არცერთ დოკუმენტში არ ყოფილა გაწერილი.

სკოლაში, უსაფრთხოების მიზნით, დამონტაჟებული იყო ვიდეოსამეთვალყურეო კამერები, სულ 3 (2 გარე და 1 - შიდა). სკოლაში არ მოიპოვებოდა პირველადი დახმარების ყუთი საჭირო მედიკამენტებითა და ინვენტარით.

ექსპერტის თქმით, სკოლა SWOT-ანალიზში სუსტ მხარედ საკუთარი შენობის არქონას ასახელებდა, თუმცა სტრატეგიულ გეგმაში პრობლემის მოგვარების გზებსა და გასატარებელ ღონისძიებებზე არაფერი ყოფილა აღნიშნული.

ექსპერტმა საბჭოს განუცხადა, რომ ვინაიდან სკოლამ ვერ წარმოადგინა საშტატო განრიგი, ექსპერტებს თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრა ხელშეკრულებებზე დაყრდნობით მოუწიათ. სკოლაში 18 თანამშრომელი, აქედან 14 პედაგოგი იყო დასაქმებული.

სკოლას 2 სერტიფიცირებული პედაგოგი ჰყავდა და 4 ჩართული იყო სქემაში (აღნიშნული პედაგოგები საჯარო სკოლაშიც იყვნენ დასაქმებულები). სკოლამ ვერ წარმოადგინა თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა, რომელიც შესაბამისი იქნებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვასთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებებით არ იყო განსაზღვრული დასაქმებულის თანამდებობა, შრომის ანაზღაურება, გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი. დაწესებულებაში მოქმედებდა პედაგოგიური კადრების ატესტაციის დებულება, თუმცა ვიზიტის დროს ატესტაციის განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია სკოლამ ვერ წარმოადგინა.

ექსპერტის თქმით, სკოლის მოსწავლეებთან გასაუბრება ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა. ექსპერტთა ჯგუფი მხოლოდ ერთ მშობელს ესაუბრა, რომელმაც აღნიშნა, რომ სკოლაში უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო იყო.

ექსპერტმა, ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ ვიზიტისას, ორი დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას სთხოვდა სასკოლო სასწავლო გეგმის მოწოდებას. დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო ქაოსურად, ნაწილი დოკუმენტებისა 2011 წლითაც თარიღდებოდა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ხშირად იყო ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, მაგალითად, სასწავლო კვირა ზოგან 5 დღით იყო განსაზღვრული, ზოგან - 6-ით. ექსპერტთა ჯგუფს, ინფორმაციის მოძიების მიზნით, სასკოლო ჟურნალის გადამოწმებაც მოუწიათ. ჟურნალში, საგნების ნაწილში მოსწავლეთა შეფასებები საერთოდ არ იყო შეტანილი, ასევე, შეტანილი იყო მხოლოდ ორი შემაჯამებელი წერის ნიშანი და არ იყო გამოყვანილი საშუალო ქულა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჟურნალში ერთი შემაჯამებლის ქულა იყო შეტანილი, მეორე რიცხვი კი აღრიცხულ ქულათა რაოდენობას აღნიშნავდა. მისივე თქმით, საშუალო ქულა შემაჯამებლით არ ყოფილა გამოყვანილი, არამედ დეკემბერში სკოლაში ჩატარებულ საკონტროლო წერის შედეგებზე დაყრდნობით.

ექსპერტის თქმით, სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა პირველ და მეცხრე-მეათე კლასებში, რომელიც წარმოდგენილი იყო კლას-კომპლექტის სახით. სკოლას ასევე ჰყავდა დამამთავრებელი მეთორმეტე კლასიც.

ცენტრისთვის მიწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ I-VI კლასების საათობრივი ბადე და 2010-2011 სასწავლო წლის VII-XII კლასების საათობრივი ბადე. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა გაკვეთილების განრიგი დღეებისა და კლასების მიხედვით, საგნის მასწავლებლის ვინაობის მითითებით.

სკოლას გაღრმავებული სახით წარმოდგენილი ჰქონდა შემდეგი პროგრამები: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა. თუმცა, წარმოდგენილი პროგრამები, ეროვნული სასწავლო გეგმის VII-XII კლასების სასწავლო პროგრამების იდენტური იყო და ძირითადად ეროვნული გამოცდებისა და საატესტატო გამოცდებისთვის მომზადებას ითვალისწინებდა.

სკოლაში კათედრების სხდომები ტარდებოდა გაერთიანებული სახით და წარმოებდა კათედრის ერთიან სამუშაო ჟურნალი, რის არგუმენტადაც სკოლას პედაგოგთა რაოდენობის სიმცირე მოჰყავდა. აღნიშნულ ჟურნალში, მხოლოდ საბუნებისმეტყველო მიმართულების პედაგოგები ფიქსირდებოდნენ. სკოლამ ვერ წარმოადგინა როგორც კათედრების, ასევე პედაგოგთა პორტფოლიოები.

სკოლაში ნიშნების გამოანგარიშება ისევე ხდებოდა, როგორც ეს ეროვნულ სასწავლო გეგმაში იყო გათვალისწინებული, იმ განსხვავებით, რომ კლასიდან კლასში გადასაყვანი ბარიერი, ასევე, საგანი რომ დაძლეულად ჩათვლილიყო, აგრეთვე, საფეხურის წარმატებით დასრულებისთვის, მოსწავლეს უნდა მიეღო არანაკლებ ექვსი ქულისა. გაცდენილი მასალა მოსწავლეს დამატებითი შემაჯამებელი საკონტროლო წერით უნდა აღედგინა.

სასგოლო გეგმის მიხედვით, შეფასების სისტემის მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო მისი გამოყენება სკოლის მისიის განხორციელების შედეგებისა და სხვადასხვა „გამოწვევის“

შესაფასებლად, რაშიც არ იგულისხმებოდა სასწავლო დისციპლინების შინაარსის ცოდნის შემოწმება (განსხვავებით ეროვნული სასწავლო გეგმისგან), არამედ მოიაზრებოდა სხვადასხვა ტიპის სამუშაოებში (მიზნობრივ ტესტირებებში, პროექტებში, წერით, კვლევით, ექსპერიმენტულ და ლაბორატორიულ სამუშაოებში, ე.წ. „სამაგიდო თამაშებში"). დირექციის აზრით, ხდებოდა არა მხოლოდ ცოდნის, არამედ შემოქმედებითი აქტივობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების შეფასება, რაც რთული პროცესი იყო და რისთვისაც მეთოდური მასალებიც საკმაოდ მწირი იყო. შესაბამისად, სკოლის მისიის განხორციელება ნიშნავდა წინასწარ განსაზღვრული მიზნით მოსწავლეთა აქტივობის შეფასებას, რაც შედგებოდა არა სამი, არამედ ათი კომპონენტისგან. აღნიშნული წესით განხორციელებული შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია.

შემაჯამებელი ტესტების ნამუშევრების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლის სახელი და გვარები გადასწორებული იყო. შეცვლილი იყო მასწავლებლის ხელმოწერაც. შემაჯამებელი წერები ჟურნალში არასწორად იყოგაფორმებული.

სკოლის დამფუძნებელთან გასაუბრებით გამოვლინდა, რომ მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასების დამრიგებელი თავად სკოლის დამფუძნებელი იყო, თუმცა დამრიგებლის მიერ ჩატარებული საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია.

საბჭოს სხდომაზე სკოლამ ახალი სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოადგინა, თუმცა ექსპერტის თქმით, საათობრივ ბადეს არც ახალი გეგმა არ მოიცავდა. ასევე, ახალ გეგმაში დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებად სპარსული ენის სწავლება იყო განსაზღვრული, თუმცა პროგრამებში იგი გათვალისწინებული არ ყოფილა. ექსპერტის განცხადებით, საბჭოზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კათედრების ნაწილი მოწესრიგებული იყო.

17:42 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:56 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით, განხილვა გადადებულიყო მომდევნო სხდომისთვის. მისივე თქმით, გადაწყვეტილების მიღება, ხარვეზების სიმრავლისა და სერიოზული ხასიათიდან გამომდინარე, მიმდინარე სხდომაზე გართულდებოდა. საბჭოს, საფუძვლიანი გადაწყვეტილების მისაღებად, დასკვნაში მითითებული ხარვეზების გამოსწორების მტკიცე დასტური ესაჭიროებოდა. სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა, რომ სკოლა არ იყო უფლებამოსილი განეახლებინა სასწავლო პროცესი მანამ, სანამ გადაწყვეტილება განხილვის პროცესში იყო.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 18:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
თამარ ფხალაძე